საქართველოს რკინიგზის სატრანზიტო პოტენციალი და როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-131

გიორგი ნანობაშვილი
სტუ დოქტორანტი
Nanobashvili.gio@gmail.com

რეზიუმე

რკინიგზა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია. ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მცირე წილის მიუხედავად, დიდია მისი როლი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების საქმეში."საქართველოს რკინიგზა" ერთადერთი სარკინიგზო ოპერატორია საქართველოში. კომპანია ძირითადად უზრუნველყოფს სატვირთო გადაზიდვებთან დაკავშირებულ მომსახურებას და ახდენს მრავალგვარი ტვირთის ტრანსპორტირებას ცენტრალური აზიიდან შავი ზღვის მიმართულებით. საქართველოს რკინიგზა უზრუნველყოფს მგზავრთა გადაყვანასაც. კომპანიას გააჩნია ვერტიკალურად ინტეგრირებული ბიზნესმოდელი, ფლობს და მართავს ლიანდაგს, სადგურებს, ტერმინალებს, სხვა სარკინიგზო ინფრასტრუქტურას და მოძრავ შემადგენლობას, რომელიც მოიცავს მთელ სარკინიგზო სისტემას საქართველოს მასშტაბით. "საქართველოს რკინიგზის" მაგისტრალური სარკინიგზო ქსელი, აზერბაიჯანის სარკინიგზო მაგისტრალთან ერთად, ქმნის კავკასიის რკინიგზის დერეფანს, რომელიც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) საკვანძო სეგმენტს წარმოადგენს.

"საქართველოს რკინიგზის" მაგისტრალური სარკინიგზო ქსელი კასპიის ზღვის რეგიონისა და ცენტრალური აზიის შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზაა. აღნიშნული მდებარეობა ცალსახად ხელს უწყობს საქართველოს რკინიგზის პოზიციონირებას ევროპის, კასპიის

ზღვის რეგიონისა და ცენტრალური აზიის სავაჭრო სისტემაში.

აქედან გამომდინარე მისი ეკონომიკური ზრდა და მდგრადი განვითარება მეტწილად დამოკიდებულია სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის ეფექტურ გამოყენებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია რკინიგზამ შესძლოს მომხმარებლებისთვის მომგებიანი პირობების შეთავაზება და მათი პრაქტიკული განხორციელება, რისთვისაც საჭიროა მძლავრი თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ტვირთების გარანტირებულად დაცვას, მათ სწრაფად გადაზიდვას და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, ტრანსპორტი, რკინიგზის ტრანსპორტი, კონკურენტუნარიანობა.

შესავალი

სარკინიგზო ტრანსპორტით მომსახურება მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვაა. სს „საქართველოს რკინიგზა“ 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, იგი სტრუქტურალად შედის საპარტნიორო ფონდის შემადგენლობაში, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „საწარმოთა მართვის სააგენტო“, გარდა წილების პრივატიზებისა და განკარგვის უფლებამოსილებისა, რასაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სს „საქართველოს რკინიგზა“ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სარკინიგზო კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი ორგანოებია: პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო. სს „საქართველოს რკინიგზა“ ძირითადი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის შესაბამისად, ასევე ახალი ხაზებისა და ობიექტების კვლევა-ძიება, პროექტირება და მშენებლობა; არსებული მატერიალური აქტივების მიზნობრივად გამოყენება და მართვა.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს განვითარებული და ცივილიზებული ქვეყნების ფუნქციონირება წარმოუდგენელია სატრანსპორტო სისტემის გარეშე. ტრანსპორტი არის ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი. სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის აღმასვლაზე მსჯელობენ სატრანსპორტო კონვეიერის მუშაობის რითმის მიხედვით. ამიტომ, ნებისმიერ სახელმწიფოში სატრანსპორტო სისტემის განვითარებას, მისი ცალკეული სახეობების გეგმაზომიერ და ჰარმონიულ ურთიერთქმედებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე, მაღალგანვითარებული სატრანსპორტო სისტემა არის სახელმწიფოში მამოძრავებელი ძალა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის ტრანსპორტირების თვალსაზრისით და შემდეგ სატვირთო გადაზიდვების უზრუნველყოფით, რამეთუ ნებისმიერი სახის პროდუქციის წარმოება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დასრულებულად, როდესაც იგი წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილამდე იქნება მიტანილი. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის კოორდინირებული განვითარება და ურთიერთქმედება ითვალისწინებს გადამზიდი საშუალებების უკეთ გამოყენებას, ტვირთის ტრანსპორტირების ვადისა და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას, ქვეყნის მოსახლეობისა და ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგის უკეთ დაკმაყოფილებას ტრანსპორტირების თვალსაზრისით. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის კოორდინირებული განვითარებისა და ურთიერთქმედების ამოცანები მრავალმხრივია და მათი გადაწყვეტა ხდება სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა ტექნიკური, ტექნოლოგიური, საფინანსო, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სხვ.

ჩვენს ქვეყანაში ტრანსპორტის ყველაზე ტრადიციული სახეობა სარკინიგზო ტრანსპორტია. ხატოვნად რომ ვთქვათ, ის არის ქვეყნის სასიცოცხლო არტერია, რომელიც გადის ბუნებრივ დერეფანში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს აკავშირებს მეზობელ ქვეყნებთან და ითვლება აზია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის (“ტრასეკა”) ძირითად ხერხემლად.

თვითონ ქვეყნის შიგნით, სატრანსპორტო სისტემაში, დიდია სარკინიგზო ტრანსპორტის როლი. რკინიგზის განშტოებები და ხაზები შედის თითქმის ყველგან, გარდა რამდენიმე მთიანი რაიონისა და ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებს ერთმანეთთან აკავშირებს. დღევანდელ საქართველოში სარკინიგზო ტრანსპორტი პრიორიტეტულად მოიაზრება ტრანსპორტის სხვა სახეობებს შორის და განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი. სარკინიგზო ტრანსპორტით ძირითადად ხორციელდება მასობრივი ტვირთების გადაზიდვა, რის გამოც ის ხასიათდება მაღალი გადაზიდვისუნარიანობით. გადაზიდვების თვითღირებულება აქ გაცილებით დაბალია, ხოლო ტვირთის ტრანსპორტირება ხდება შედარებით მაღალი სიჩქარეებით. საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობის გათვალისწინებით, უდიდესი ადგილი ენიჭება სატრანზიტო გადაზიდვებს, რამეთუ უმოკლესი გზა ევროპასა და აზიას შორის საქართველოს ტერიტორიაზე გადის. რკინიგზა არის მნიშვნელოვანი დარგი ქვეყნისთვის, მისი შემოსავალი 2021 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 1.0%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, რკინიგზა წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილ გადამხდელსა და კორპორატიულ დამსაქმებელს. იგი ასევე ითვლება სტრატეგიულ პარტნიორად ეკონომიკური ზრდისთვის და ხელს უწყობს სხვადასხვა სამრეწველო სექტორის განვითარებას (ლოკომოტივის მშენებლობა, რკინიგზის რემონტი, ვაგონების დამზადება და ა.შ.) და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის (როგორიცაა აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, თურქმენეთი) ეკონომიკურ ურთიერთობათა ამაღლებაში. ამ თვალსაზრისით უდიდესია საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. საქართველოს რკინიგზას დიდი მნიშვნელობა აქვს მეზობელი ქვეყნებისათვის ტვირთის ტრანსპორტირების საქმეში. სომხეთსა და აზერბაიჯანს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის გავლით, უმოკლესი გზით, შეუძლიათ თავიანთი ტვირთის გატანა შავ ზღვაზე.

საქართველოს რკინიგზის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ახალი ლიანდაგების (გზების) მშენებლობით. ინფრასტრუქტურის ცვლილებები ხელს შეუწყობს საბაზრო პერსპექტივების შექმნას. ეს, თავის მხრივ, დაეხმარება რეგიონს ადგილობრივი ეკონომიკის პროდუქტიულობის გაზრდასა და ახალი ინდუსტრიის განვითარებაში. ასევე, გაიზრდება საქონლის საბაზრო ღირებულება ადგილობრივად და შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

საქართველოს სარკინიგზო ქსელი ტრასეკას ძირითადი სეგმენტია. იგი უმოკლესი გზაა კასპიის ზღვისა და შუა აზიიდან შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვის აუზამდე. აქედან გამომდინარე მისი ეკონომიკური ზრდა, მდგრადი განვითარება მეტწილად დამოკიდებულია სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის ეფექტიან გამოყენებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია რკინიგზამ შესძლოს მომხმარებლებისთვის მომგებიანი პირობების შეთავაზება და მათი პრაქტიკული განხორციელება, რისთვისაც საჭიროა მძლავრი თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ტვირთების გარანტირებულად დაცვას, მათ სწრაფად გადაზიდვას და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას. პრიორიტეტული ხდება სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებები, რომლებმაც უნდა გააფართოვონ მოწინავე გამოგონებების გამოყენება სარკინიგზო ტრანსპორტზე და აამაღლონ საქართველოს სატრანპორტო მომსახურებათა კონკურენტუნარიანობა ბაზარზე. აუცილებელია რკინიგზის მოდერნიზაცია ინოვაციური პროექტების დაგეგმვით, რომელიც, თავის მხრივ, დიდ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ტყეშელაშვილი, ნ. დუმბაძე, ი. ამანათაშვილი, ჯ. შანიძე, ა. კანკაძე. „საქართველოს ტრანსპორტი“, თბილისი, 2021 წელი;
2. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, №7, თბილისი, 2018 წ;
3. მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
5. სს „საქართველოს რკინიგზა“;
6. პ. ქენქაძე, ჯ. მორჩილაძე „სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება“ , თბილისი, 2012 წლი.

REFERENCES:

1. G. Tkeshelashvili, N. Dumbadze, I. Amanatashvili, J. Shanidze, A. Kankadze “Transport of Georgia” Tbilisi 2021;
2. Journal of young researchers, No. 7, Tbilisi 2018;
3. Material from Wikipedia, the free encyclopedia;
4. National Statistical Office of Georgia;
5. JSC “Georgian Railway”;
6. P. Kenkadze, J. Morchiladze, “Interaction between railway and other types of transport”, Tbilisi, 2012.

TRANSIT POTENTIAL AND ROLE OF GEORGIAN RAILWAYS IN THE DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMY

Nanobashvili George,
PhD student of GTU
Nanobashvili.gio@gmail.com

RESUME

The railway is an important sector of the economy of Georgia. Despite its small share in the gross domestic product of the country, its role in the socio-economic development of the country is large. “Georgian Railway” is the only railway operator in Georgia. The company mainly provides services related to cargo transportation

and transports various types of cargo from Central Asia to the Black Sea. The Georgian Railways also provides passenger transport. The company has a vertically integrated business model, owning and managing tracks, stations, terminals, other railway infrastructure and rolling stock covering the entire railway system across Georgia. The main railway network of "Georgian Railways", together with the railway of Azerbaijan, forms the Caucasus Railway Corridor, which is a key segment of the Europe-Caucasus-Asia transport corridor (TRACECA). The main railway network of "Georgian Railways" is the shortest way connecting the Caspian Sea region and Central Asia with the Black Sea and the Mediterranean Sea. The mentioned location uniquely contributes to the positioning of Georgian Railways in the trade system of Europe, the Caspian Sea region and Central Asia. Therefore, its economic growth and sustainable development largely depends on the effective use of the potential of a transit country. In this regard, it is necessary for the railways to be able to offer profitable conditions to customers and their practical implementation, for which it is necessary to create a powerful modern infrastructure, which ensures guaranteed protection of cargoes, their fast transportation and reduction of transport costs. Priority is given to scientific and technological directions, which should expand the use of advanced inventions in railway transport and increase the competitiveness of Georgian transport services in the market. It is necessary to modernize the railways by planning innovative projects, which in turn are associated with large investments.

Keywords: Management, transport, railway transport, competitiveness.